



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/02/2025



MES 1 25 0000169823

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 31. 01. 2025

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:48 სთ

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (I საკითხი)

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (II საკითხი)

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

3. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;
4. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
12. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
15. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ედვინი სირბილაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
4. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
5. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
6. **თამთა მოხევიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

1. ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;
2. ნათია სამუშია - პრორექტორი;
3. მარინა ქარჩავა - პრორექტორი;
4. შაკო თავაძე - სტუდენტების დეკანი;
5. ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
7. თეა ოდიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
8. გიორგი ბედინიშვილი - ბიზნესის სკოლის დეკანი;
9. თეკო ძიძიგური - ბიზნესის სკოლის კოორდინატორი;
10. სალომე შიოშვილი - ბიზნესის სკოლის კოორდინატორი.

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

1. აკაკი ჭელიძე - რექტორი;
2. ნათია შეყილაძე - კანცლერი;
3. დიმიტრი გეგენავა - პრორექტორი;
4. ნინო წიქვაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
5. ნანო პაჭკორია - ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი;
6. თამთა მიქაბერიძე - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. აკაკი ცომაია - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
8. გიორგი გორაძე - საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის ხელმძღვანელი;
9. ლიანა გიორგაძე - საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის ხელმძღვანელი;
10. ნათია ჭელიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
11. ნინო პაპაჩაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

ექსპერტები:

1. სოფიო ხუნდაძე (I საკითხი)
2. თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი)
3. ლიკა კვინჩია (I საკითხი)
4. თეა კასრაძე (I საკითხი)
5. ნინო ფარსადანიშვილი (II საკითხი)
6. იზა ბუკია (II საკითხი)
7. ნანული ოქრუაშვილი (II საკითხი)
8. გიგა ხოსიტაშვილი (II საკითხი)
9. გიორგი მერაბიშვილი (II საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და დღის წესრიგით გათვლისწინებულ პირველ საკითხს უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ **გოჩა თუთბერიძემ**, ხოლო მეორე საკითხს საბჭოს თავმჯდომარემ **თამარ ლომინაძემ**.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (180 ECTS), "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (240 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

საბჭოს წევრებმა თბილისის თავისუფალი და შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე შუამდგომლობა დააყენეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხების შემდგომ საბჭოზე გადადების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა №2

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №3

„ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსები;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკითხთან მიმართებით. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას განსახილველი საკითხის ირგვლივ.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, კაროლინა ტიმკო (Carolina Timco), აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. წერილის სახით გამოგზავნილი მისი პოზიცია პროგრამებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს გააცნო ლაშა მაჭარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებზე შეფასების პროცესი განხორციელდა 2024 წლის სექტემბერში. დაწესებულებაში ვიზიტი გაიმართა ამავე წლის 10-11 ოქტომბერს. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა წარმოდგენილი დაწესებულების დოკუმენტაცია. ინტერვიუების დროს დაისვა დამატებითი კითხვები, მოთხოვნილი იქნა დამატებითი მასალები საბოლოო დასკვნის შედგენის მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი პროგრამებს ახორციელებს აკრედიტებულ რეჟიმში. ექსპერტების ყველა მიგნება ასახულია ანგარიშში. წერილში აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში გამოიკვეთა პროგრამების როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების განვითარებას ხელს შეუწყობს. უნივერსიტეტი მაღალი რეპუტაციით სარგებლობს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სტაბილურ ნაკადს, ყველა დაინტერესებული მხარის ძალიან მაღალ კმაყოფილებას და წარმატებულ თანამშრომლობას, შესაბამის ინფრასტრუქტურას, ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის შეთავაზებულს სტიპენდიებს, აკადემიური პერსონალის პრაქტიკული გამოცდილებას და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის რამდენიმე კომპონენტის აღიარებას ACCA the Association of Chartered Certified Accountants-ს მიერ. მისი თქმით, არსებობს გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლებსაც უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. რაც შეეხება უშუალოდ კლასტერის დონეს, აღსანიშნავია შემდეგი საკითხები: გამოწვევა პლაგიატის დეტექციის სისტემასთან დაკავშირებით, სწავლებისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესში ჩართულ პირებში დოქტორის ხარისხის მქონე პირების სიმცირე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და სასწავლო პროცესში ჩართული პირების არასაკმარისი სამეცნიერო აქტივობა, მოწვეული პერსონალის წლიური სამუშაო დატვირთვის მკაფიო პრინციპებისა და სტუდენტთა კონსულტაციისთვის განსაზღვრული საათების ნაკლებობა. მისი თქმით, სტუდენტებისთვის აკადემიური წერის ცალკეული მოდულის არარსებობა, საერთაშორისო აქტივობების არასაკმარისი განვითარება და მოწვეული პერსონალის მაღალი გადინება გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობაზე, კერძოდ, ერთ აკადემიურ პერსონალზე სტუდენტების მაღალი რაოდენობა, თანაფარდობის ნაწილში. რაც შეეხება თითოეულ პროგრამას, შესაძლებელია გამოიყოს გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება პროგრამის სტრუქტურას, ცალკეული სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების განსაზღვრის საკითხებს. ასევე სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისას ინგლისური ენის საჭირო კომპეტენციის განსაზღვრის საკითხს, სამაგისტრო ნაშრომის თითოეულ ხელმძღვანელზე მაგისტრანტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის საჭიროებას და ა.შ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია განიხილა და ნაწილობრივ დაეთანხმა მას. ამის შესაბამისად საბოლოო დასკვნაში განხორციელდა ცვლილებები. საბოლოო ჯამში „ბიზნეს ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა მეორე და მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა მიერ შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისობა“, ხოლო დანარჩენი „სრულად შესაბამისობა“ დადგენილ მოთხოვნებთან. სამაგისტრო პროგრამაში პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისობა“, ხოლო მესამე და მეხუთე „სრულად შესაბამისობა“ დადგენილ მოთხოვნებთან. „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამაში პირველი, მეორე და მეოთხე შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისობა“, ხოლო მესამე და მეხუთე სტანდარტი „სრულად შესაბამისობა“. ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არასწორად იქნა აღქმული. ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ მისი გაცემა უკავშირდებოდა იმ გარემოებას, რომ კურსებში პირველივე სემესტრიდან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები იყო შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურად სტუდენტებისთვის. ინგლისური ენის ცოდნის დონე სტუდენტებს გაცილებით მაღალი უნდა ჰქონდეთ სწავლების

დასაწყისშივე, ვიდრე უსდ-ში დადგენილი წესით არის გათვალისწინებული, რადგან არსებობს რისკი, რომ სტუდენტმა, რომელმაც ეროვნულ გამოცდაზე ჩააბარა სხვა უცხო ენა და ინგლისური ენის სწავლა დაიწყო უნივერსიტეტში, შესაბამისი პროფესიული ლიტერატურა და საბოლოო კურსის ათვისება გაუჭირდეს. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ამ მექანიზმის უკეთესად დახვეწა იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სტუდენტთან დაბრკოლება. ასეთი მდგომარეობა სტუდენტს ხელს შეუშლის შედეგების მიღწევაში. დაწესებულებას შეუძლია მოითხოვოს ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოდ ინგლისური ენის ჩაბარება, თუ მას სურს, რომ პირველივე წლიდან ასწავლოს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოთი სასწავლო კურსი, ან პროგრამაში იყოს სტუდენტისათვის მიცემული გონივრული ვადა, რომ „B2“ დონემდე აიყვანოს უცხო ენის ცოდნის დონე და მერე შესთავაზოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობად ნახსენებია შიდა გამოცდა, რომელიც ამოწმებს ანალიტიკურ აზროვნებას, ლოგიკური აზროვნების უნარს, სტუდენტის მოტივაციას და ა.შ. ოფიციალურად გაცხადებული არ არის, რომ ინგლისური ენის კომპეტენციის შემოწმებას ახდენს დაწესებულება, თუმცა ინტერვიუების დროს დაწესებულებამ ახსენა, რომ ინგლისურად გასაუბრებები ჰქონია აპლიკანტებთან, თუმცა რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტის „B2“ დონის ცოდნის შემოწმება გასაუბრებით გაუგებარია. შესაბამისად, ამ საკითხს, რომ არაფორმალური სახე ჰქონდა მიცემული, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია. უნივერსიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა ტესტების საფუძველზე მოეხდინა შესაბამისი ცოდნის დონის განსაზღვრა ინგლისურ ენაში, ან კანდიდატებს უნდა მოსთხოვოს სერტიფიკატის წარმოდგენა შესაბამისი ცოდნის დონის დასადასტურებლად. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ ამ საკითხის თაობაზე რეკომენდაცია ყოფილიყო გაცემული და ჯობდა თუ არა რჩევებში გადასულიყო ის. ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური საკითხი, რომლის გამოსწორება სირთულესთან არ იყო დაკავშირებული. ეს არის ისეთი საკითხი, რომლის გამოსწორებლობამ სასწავლო კურსების დამლევასთან დაკავშირებით სტუდენტს შეიძლება პრობლემა შეუქმნას. შესაბამისად, სტუდენტების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გაიცა ეს რეკომენდაცია. ექსპერტმა თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ უნდა აისახოს კონკრეტული საგნები გარკვეული კურსების წინაპირობებად. წინაპირობების განსაზღვრა საგნებისთვის მხოლოდ ლექტორის აკადემიური თავისუფლებას არ მოიცავს. იმისათვის, რომ ლოგიკური გადასვლა იყოს კურსებზე, საჭიროა კურსებისათვის განსაზღვრული იყოს წინაპირობები. ასევე აღნიშნა, რომ ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები მაგისტრატურის დონეზე ისწავლება ისეთი სახელმძღვანელოთი, რომელიც შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. იგივე სიტუაცია არის მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის სწავლების დონეს. რაც შეეხება პრაქტიკის ნაწილს „ფინანსების“ სამაგისტრო საფეხურზე, აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციის საფუძველი იყო დარგობრივი მახასიათებელი. ამ უკანასკნელში ნათლად არის აღნიშნული, რომ მინიმუმ ხუთ კრედიტიანი პრაქტიკა უნდა არსებობდეს პროგრამაში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სტუდენტი მუშაობდეს. ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, ექსპერტები ითხოვენ არა იმას, რომ კურსის სტრუქტურა იქნეს შეცვლილი, არამედ სავალდებულო კურსი გახდეს. დაწესებულების პოზიციაც როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის ნაშრომთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ უფრო პრაქტიკული ნაშრომია და მასში ნაკლებად არის სამეცნიერო ელემენტები. ამ კუთხით გაცემული რეკომენდაციები უფრო მეტად მიემართებოდა სამაგისტრო საფეხურს, სამეცნიერო მიმართულების გაძლიერების მიზნით. ექსპერტებს ნაშრომებში დააკლდათ თეორიული კვლევა. პროგრამა არ ვითარდება იმ კუთხით, რომ მხოლოდ პრაქტიკულ ნაწილში იყოს ნაშრომები შესრულებული სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულების მიერ. შესაბამისად, პროგრამაში არსებული კვლევის კომპონენტის გაძლიერებას ემსახურებოდა ის რეკომენდაციები, რომლებიც გაცემული იყო სამაგისტრო საფეხურზე პერსონალის გაძლიერების მიზნით. მისი თქმით, ექსპერტები აღიარებენ იმ ფაქტს,

რომ პროგრამები მაღალი დონის პრაქტიკულ ნაწილს შეიცავს. პლაგიატთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ნაშრომები შეემოწმებინათ პროგრამით, რათა დადგენილიყო თანხვედრა ან მსგავსება. არ არსებობს პლატფორმა, რომლითაც მსგავსება შემოწმდება. შესაბამისად, ექსპერტების მოსაზრებით, დაწესებულების ის პოზიცია, რომ ადამიანური პერსონალის მიერ ხდება პლაგიატის საკითხის აღმოჩენა და მსგავსების დადგენა, გაუგებარია, რადგან რეალურად ძალიან რთულია ადამიანური პერსონალის მიერ პლაგიატის დადგენა. შესაბამისად, სასურველია არსებობდეს პლატფორმა, რომელიც დაარეგულირებს ამ საკითხს. რექტორმა ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ პროგრამის არსიდან გამომდინარე სამეცნიერო კვლევის გაძლიერება არ ხდება, ვინაიდან სამაგისტრო საფეხურზე კვლევა ტარდება მხოლოდ პრაქტიკული კუთხით. კანონმდებლობასთან შესაბამისია დადგენილი პროგრამა და პროგრამაში ასახულია არა სამაგისტრო ნაშრომი, არამედ პროექტი, რომლის ფარგლებში მაგისტრანტები ატარებენ პრაქტიკულ კვლევას სამეცნიერო კვლევის მაგივრად. ექსპერტებს სხვა კუთხით აქვთ დანახული ბიზნესის სწავლების სპეციფიკა, ვიდრე არსებობს დაწესებულებაში, თუმცა კანონმდებლობის მიხედვით ბიზნესის სწავლების განსხვავებული მიმართულებები არსებობს და დაწესებულების მიერ არჩეული გზა კანონთან შესაბამისია. ექსპერტების მსჯელობა დაფუძნებულია ჰიპოთეტურ მოცემულობაზე. პროგრამების არსებობის პირობებში არასოდეს დამდგარა მსგავსი საკითხები პრობლემად. დაწესებულებას აქვს თავისი გამოცდილებით გააზრებული არსებული საკითხები და ყველა რისკი დაზღვეული. პლაგიატის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ორი მიმდინარე ქეისია მაგისტრანტების მიერ აკადემიური თაღლითობის. ამის დასტურად ასობით შემთხვევაა აღმოჩენილი, რომლის შესახებ სტატისტიკაც არსებობს. ყოფილა ისეთი ფაქტი, როდესაც პლაგიატის საფუძვლით გაურიცხია უნივერსიტეტს სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების რექტორი, ვახტანგ ლეჟავა, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების პოზიციაში იყო რიგი უზუსტობები, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება. უნივერსიტეტი პიონერია საქართველოში ბიზნეს განათლების მიმართულებით, ხოლო პროგრამები შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელსაც მოწმობს სტუდენტთა რაოდენობა უნივერსიტეტის მასშტაბით. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები უსაფუძვლოა. ისინი ემყარება თეორიულ საფუძველს. ანკა თაბუკაშვილმა კლასტერის ზოგად რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პლაგიატს, აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის სტანდარტების რიგი მოთხოვნები ვრცელდება ასევე ავტორიზაციის სტანდარტებზეც, ერთ-ერთი პლაგიატის საკითხია, რომელიც ვრცელდება ასევე ზოგადად საუნივერსიტეტო მასშტაბით. არაერთგზის არის გარე ხარისხის მექანიზმებით შეფასებული უნივერსიტეტის პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები, რომელიც დაწესებულებაში არის ყველა პროგრამასა თუ საფეხურზე. მისი ეფექტურობა დამტკიცებულია, რომლის თაობაზე წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები. დასკვნის პროექტში არ იყო არგუმენტები, რომელიც გაამყარებდა ექსპერტთა მიერ რეკომენდაციის გაცემის საფუძველს, ვინაიდან არ იყო ნაჩვენები, თუ რა ხარვეზები აქვს არსებულ მექანიზმს, რომლის აღმოფხვრაც აუცილებელია იმისათვის, რომ მექანიზმმა იმუშაოს გამართულად. ავტორიზაცია რამდენიმე თვის წინ გაიარა უნივერსიტეტმა, რომლის ფარგლებში მოცემული საკითხი დადებითად იყო შეფასებული. შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს გაცემულ რეკომენდაციას. კლასტერის მეორე რეკომენდაცია შემდეგი იყო: „რეკომენდებულია, დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა კლასტერული პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.“ გიგა ბედიჩიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად დასკვნის პათოსი არასწორია, ვინაიდან მისი მოსაზრებით ექსპერტებს არ ჰქონდათ სრულად გაგებული თუ როგორ განსხვავდება ბიზნესის სწავლების პროცესი სხვა აკადემიური სფეროებში სწავლების პროცესისგან, რადგან უფრო

მეტად პრაქტიკულია იგი. მისი თქმით, დაწესებულების თვითმიზანი არ იყო დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალით პროგრამის დატვირთვა, რადგან ის გახდებოდა უფრო მეტად თეორიულ სწავლებაზე ორიენტირებული. მთავარი წარმატება ამ დაწესებულებისა და პროგრამის არის ის, რომ სწავლება პრაქტიკული კომპონენტებით მიმდინარეობს. დაწესებულების ამოცანაა პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამები ჰქონდეს. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაციის შესრულება გამოიწვევს კადრების ჩანაცვლებას დოქტორის ხარისხის მქონე პირებით, რაც საფრთხეში ჩააგდებს პროგრამებისა და ინსტიტუციის გამართულ ფუნქციონირებას. დაწესებულება ამით გადაუხვევს დასახულ მიზანს, კერძოდ, ბიზნეს ადმინისტრირების საკითხები უნდა ისწავლებოდეს მაღალ დონეზე პრაქტიკული კუთხით და არა დოქტორის ხარისხის მქონე პირის მიერ თეორიულად. რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის პერსონალის სამეცნიერო აქტივობების გაძლიერებას, აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ჰქონდა ჩატარებული კვლევები, კერძოდ, მათ მიერ გამოცემულია ფინანსურ-ქართული ლექსიკონი. ასევე არსებობს შეფასების სისტემა პროფესორების კვლევების ეფექტიანობის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პროგრამა მოსწონთ როგორც სტუდენტებს, ისე დამსაქმებლებს, რომლის შინაარსობრივ ნაწილთან ექსპერტებს არ ჰქონიათ შეკითხვები. რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვისა და მისი განაწილების პრინციპების შემოღებას და პერსონალის სამუშაო დატვირთვაში სტუდენტების საკონსულტაციო საათების გათვალისწინებას, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ საათობრივი დატვირთვა აბსტრაქტულია, რომელიც მოიცავს არა მარტო სალექციო დროს, არამედ საგამოცდო საკითხებისთვის მოსამზადებელ და შეფასებისა და კონსულტაციების გაცემის დროს. პროგრამის სილაბუსებში, ასევე კონტრაქტებში მითითებულია, რომ ვალდებულებაა მათი გასწიონ საკონსულტაციო საათები, თუმცა დეტალურად კონსულტაციების საათების ზუსტი ოდენობა არ არის გაწერილი. საგულისხმოა ის, რომ დასკვნაში საუბარი არ არის იმ საკითხზე, რომ სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა ლექტორების მიერ კონსულტაციების არარსებობის საკითხი. მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვისა და მისი განაწილების პრინციპთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისთვის გაურკვეველია ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციის შინაარსი. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში შეუძლებელია მსგავსი საკითხის გადაჭრა. ანკა თაბუკაშვილმა დაამატა, რომ კლასტერული რეკომენდაციის სახით იყო გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამას, კერძოდ, მის ხელმძღვანელებს. იქიდან გამომდინარე, რომ კლასტერში იყო საბაკალავრო პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაცია, დაწესებულებას მიაჩნია, რომ კლასტერულ რეკომენდაციას არ უნდა წარმოადგენდეს ეს, რადგან პრაქტიკული თვალსაზრისით დამაბნეველია. 5.3.1. რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დასკვნაში ნახსენებია დაწესებულების მიერ შესწავლილი დასავლური პრაქტიკები, თუმცა ექსპერტების მიერ ამ შინაარსით მაინც გაიცა რეკომენდაცია გაცია, რომელსაც დაწესებულება არ იზიარებს. რეკომენდაცია უკვე ნიშნავს, რომ ხარვეზია და დაწესებულება არ სწავლობს უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებას. რა თქმა უნდა, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. მისი თქმით, ბიზნეს ადმინისტრირების ყველა პროგრამამ გაიარა ევროპული აკრედიტაცია.

წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა, გიგა ბედინეიშვილმა, აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პრე რეკვიზიტების არსებობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სხვა პროგრამებში. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში თუ კურსის განმახორციელებელი ლექტორი მიიჩნევს, რომ კონკრეტული კურსისთვის უნდა არსებობდეს წინაპირობა, მაშინ განესაზღვრება, რადგან ბიზნესის სწავლების პროცესი გაცილებით უფრო ჰორიზონტალურია, ვიდრე სხვა სპეციალობები. ამას ადასტურებს თავად ის ფაქტი, რომ სტუდენტებს არ უჭირთ კურსების გავლა წინაპირობების არ არსებობის გამო. შესაბამისად, პათოსს, რომ იდენტური მიდგომა უნდა ჰქონდეს ყველა უნივერსიტეტს, დაწესებულება არ ეთანხმება. მაგალითად, მაგისტრატურაშიც ირიცხებიან ისეთი სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ ბაკალავრის ხარისხი

ბიზნესში. შესაბამისად, ბიზნესის სწავლების სპეციფიკა განსხვავებულია. მან აღნიშნა, რომ ყოველ სემესტრულად ტარდება ყოველი საგნის შეფასება. წინაპირობების არარსებობის საკითხის გამო არასოდეს ყოფილა პრობლემა რომელიმე კურსთან დაკავშირებით არც ლექტორების და არც თავად სტუდენტების მხრიდან. მისი თქმით, ყველა სემესტრის საგნების მიხედვით ხდება ნიშნების სტატისტიკა, რომლითაც მოწმდება იმის შესახებ ინფორმაცია არის თუ არა რაიმე კუთხით შეფერხება. ეს საფუძველია პრე რეკვიზიტების მოდიფიკაციისა. მან აღნიშნა, რომ ლექტორის მიერ შედგენილი კურსი თანხმდება დეკანთან, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს კურსებთან დაკავშირებულ მსგავს პრობლემებს.

ანკა თაბუკაშვილმა განაცხადა, რომ საბაკალავრო საფეხურთან დაკავშირებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის, როგორც ერთადერთი უცხო ენის, მოთხოვნის გადახედვა ენის ცოდნის დონისთვის უფრო მაღალი ზღვრის დაწესებით, ან პროგრამაში ინგლისური ენის დაბალი დონიდან შეთავაზება, რათა სტუდენტებმა შეძლონ ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება პროგრამის ფარგლებში, სანამ დაიწყებენ იმ კურსებს, სადაც ინგლისურენოვანი წიგნები სავალდებულო სახელმძღვანელოებადაა განსაზღვრული“. მისი თქმით, უნივერსიტეტში უნივერსალური მიდგომა იყო ინგლისურ ენასთან დაკავშირებით საბაკალავრო პროგრამებზე. ეს გულისხმობს იმას, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებით დადგენილ მოთხოვნებს იყენებს დაწესებულება და ნებისმიერი უცხო ენის ჩაბარებით აბიტურიენტს შესაძლებლობას აძლევს სწავლა დაიწყოს დაწესებულებაში. ასევე დაწესებულება იღებს იმაზე პასუხისმგებლობას, რომ სტუდენტი გონივრულ ვადაში შეისწავლის ინგლისური ენას „B2“ დონეზე. პროცესი თუ როგორ ხერხდება ამ მიზნის მიღწევა აღწერილი როგორც თვითშეფასების ანგარიშში, ისე სტრატეგიისა და გეგმის მიმოხილვის დოკუმენტში, რომელიც ექსპერტებისათვის ცნობილი იყო. მისი თქმით, საბაკალავრო საფეხურის პირველი კურსის სტუდენტი განურჩევლად ინგლისური ენის ცოდნისა წერს ტესტს, რომლითაც დგინდება მისი ცოდნის დონე ინგლისურ ენაში. ასე განსაზღვრულია კონკრეტული გეგმა თუ როგორ მივიდეს „A1“ დონემდე საორიენტაციო პერიოდში და საჭიროების შემთხვევაში როგორ არის განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომ სამ სემესტრში ავიდეს „B2“ დონემდე. რა თქმა უნდა, ამაში დამატებითი საფასურის გადახდა სტუდენტს არ უწევს. იმ პირობებში, როდესაც პროგრამაში ეს ყოველივე განსაზღვრულია, გაუგებარია ექსპერტების პოზიციის საფუძველი ვინაიდან, რეკომენდაციის შინაარსი ითვალისწინებს ინგლისური ენის დაბალი დონის შემსწავლელი კურსის შეთავაზებას სტუდენტისთვის, რასაც ახდენს უკვე დაწესებულება მრავალი წელია, იმ მიზნით, რომ ენის ბარიერის გამო არ შეექმნას პროგრამის დაძლევისთან დაკავშირებით პრობლემა. ეს პროცესი მუდმივი მონიტორინგის ობიექტია მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ვახტანგ ლეჟავამ დაამატა, რომ სტატისტიკურად, წლიდან წლამდე უმჯობესდება მიღებული აბიტურიენტების ინგლისური ენის ფლობის დონე, და იმ სტუდენტების რაოდენობა ვისაც პრობლემა აქვს, „B2“ დონემდე ინგლისური ენის ფლობის უკვე 5%-ზე ნაკლებია. სწავლის დაწყებამდე თუ მათი ინგლისური ენის ფლობის დონე არ არის „A1“-მდე, მათ უტარდებათ ორ კვირიანი ტრენინგები. საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად“. გიგა ბედიჩიშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებიან აღნიშნულს. სტაჟირება არჩევითი საგანია, შესაბამისად, სტუდენტს უკეთ შეუძლია განსაზღვროს რამდენად შეუძლია გაიაროს სტაჟირება. შესაბამისად, გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ ის სტუდენტი წავიდეს სტაჟირებაზე, რომელსაც არ აქვს შესაბამისი ცოდნა. სამაგისტრო საფეხურის მიმართულებით გაცემული იყო იდენტური რეკომენდაციები, კერძოდ, „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი კომპეტენციის მქონე კანდიდატები. ამისათვის, უნივერსიტეტმა უნდა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა გამოცდის მეშვეობით, ისე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით“. ანკა თაბუკაშვილმა განაცხადა, რომ მაგისტრატურაზე

სტუდენტთა ნაკადის მიღება გაცილებით მცირე მოცულობისაა, ვიდრე საბაკალავრო პროგრამაზე. ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება ხდებოდა უშუალოდ გასაუბრების დროს, ასევე, მაგისტრატურაში მიღების დროს ხდება ტესტირება. ეს დაწესებულებაში აპრობირებული მეთოდია. დასკვნაში არ არის მითითებული თუ რა გახდა საფუძველი რეკომენდაციის გაცემისა, ვინაიდან მაგისტრანტების მიღების ნაწილში, ექსპერტებს, ინგლისური ენის შესაბამისი დონის არ მქონე მაგისტრანტების მიღების ნაწილში ხარვეზი არ დაუდგენია. საგულისხმოა, რომ ეს დაწესებულებისათვისაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს ბიზნესის კვლევის სხვადასხვა მეთოდს“. გიგა ბედინიშვილმა განაცხადა, რომ კურსების დამატების საჭიროებას ვერ ხედავდნენ, ვინაიდან ბიზნესის სპეციფიკური კვლევა ისწავლებოდა რამდენიმე საგანში კონტექსტურად. გარდა ამისა, კვლევას ითხოვს დაწესებულება სადიპლომო ნაშრომის დროს. მისი თქმით, კონკრეტული უნარების ცალკე საგნად გამყოფა შესაძლებელია, თუმცა გაცილებით უფრო პროდუქტიულია ის, როდესაც კონკრეტულ დისციპლინაში არის ჩაშენებული და ისწავლება ერთიანობაში. ფორმა თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ეს არის დაწესებულების არჩევანი და ინტეგრირებულია სხვადასხვა საგნებში, და დაწესებულებას მიაჩნია, რომ ასე უფრო პროდუქტიულია და მიიღწევა სასურველი შედეგი. ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო ფორმულირებული: „რეკომენდებულია, „ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების“ და „კორპორაციული ფინანსების“ კურსების შინაარსის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო დონისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.“ გიგა ბედინიშვილმა განმარტა, რომ კონკრეტული საგანი არსებობს ბიზნესის ადმინისტრირებისათვის მათი ცოდნის გასაღრმავებლად, კერძოდ, ფინანსური ბაზრების მუშაობის მიმართულებით. შესაბამისად, კორპორაციული ფინანსები სწორედ ამ მიმართულებითაა. ექსპერტების მიერ მითითებული საგნები დანახული იყო ისეთ კურსებად, რომლებიც მოამზადებდა მაგისტრანტს ფინანსურ დარგში საქმიანობისთვის. ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ „ფინანსების“ პროგრამაზე გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირება მინიმუმ 5 ECTS კრედიტის მოცულობით“. მისი თქმით, წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციის შედეგად მოხდა არჩევით კურსად სტაჟირების დამატება და ეს პრაქტიკაში კარგად ხორციელდება. ასევე საგულისხმოა, რომ სტუდენტების უმრავლესობა მუშაობს და ახორციელებს პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც აღარ საჭიროებენ სტაჟირების გავლას. 1.4.2. რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რომ ფინანსების მიზანს დაწესებულება ხედავდა არა მხოლოდ საბანკო ან სადაზღვევო, არამედ კორპორაციულ, ადმინისტრაციულ დარგისთვის. ამიტომ, გაღრმავება გადიოდა იმ საკითხზე თუ როგორ უნდა იმუშაოს მენეჯერმა ფინანსურ საკითხში, იმისთვის, რომ კომპანიის ღირებულების მართვა, ფინანსური ანალიზი შეძლოს და არა იმისთვის, რომ ბანკირები ან სადაზღვევო აგენტები გახდნენ კურსდამთავრებულები. ასევე კურსის შედგენის დროს განხილული იყო ის საკითხი იფარებოდა თუ არა ყველა საკითხი, რომელიც გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლით და დადასტურდა რომ შეთავაზებული კურსებით ხდებოდა დაფარვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს წინაპირობებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რომელი კურსი იყო ისეთი, რომელსაც არ ჰქონდა წინაპირობები. მან აღნიშნა, რომ როდესაც გადახედა პროგრამას, წინაპირობები კურსებთან მიმართებით მოცემული იყო. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას საკონსულტაციო საათების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რატომ არ

იყო შესაძლებელი საკონსულტაციო საათის მინიმალური რიცხვის განსაზღვრა, რომელიც აკადემიური ან მოწვეული პერსონალისთვის იქნებოდა სავალდებულოდ გასაწევი სტუდენტთა უფლებების რეალიზებისათვის.

ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული იყო კონკრეტული კურსები, რომელთა მიმართაც დაფიქსირებული იყო სურვილი წინაპირობების დამატებისა. ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ გაცემულ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ მოხდეს გათვალისწინება დატვირთვაში. საგულისხმოა, რომ საკონსულტაციო საათების შესახებ ვალდებულება გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში. ასევე პერსონალისა და სილაბუსშიც ასახულია. მისი თქმით, შეიძლება კონკრეტული რაოდენობა არ იყოს განსაზღვრული, თუმცა გათვალისწინებულია იმდენი, რაც საჭიროა ხარისხიანი სწავლებისთვის. საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, „მდგრადობას“, შეფასების დროს, როგორ განმარტავდნენ. აქვე დასძინა, რომ ეს კითხვა გამომდინარეობდა 4.1. კომპონენტის რეკომენდაციიდან. ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციის შინაარსი არ ეხებოდა მხოლოდ მდგრადობის საკითხს. პერსონალის ამ კუთხით გაძლიერება ემსახურებოდა უპირველესად კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას პროგრამაში. რაც შეეხება მდგრადობის საკითხს, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ რადგან აკადემიური პერსონალი სტაბილურად დასაქმებულია კონკრეტულ პროგრამებზე, მეტი რაოდენობის აკადემიური პერსონალი, ვიდრე მოწვეული, პროგრამების მდგრადობაზე გავლენას მოახდენდა. აკაკი ხელაძემ აღნიშნა რომ 4.1. რეკომენდაცია ითვალისწინებდა უფრო მეტი დოქტორის ხარისხის აკადემიური პერსონალის ჩართვას პროგრამაში, რაც უზრუნველყოფდა მდგრადობას. მისი თქმით, თუ არ არის კონკრეტული დილემის წინაშე უნივერსიტეტი, რთულია საკითხის ამგვარი შეფასება, რადგან შესაძლებელია დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი იყოს პროგრამაზე, მაგრამ სწავლების ხარისხი არ იყოს კარგი. ასევე შეიძლება მოწვეული პერსონალი იყოს და პირიქით მოხდეს ყველაფერი. აკაკი ხელაძემ კვლევით აქტივობებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში საუბარია შემცირებულია კვლევითი აქტივობების შესახებ. მას აინტერესებდა, შემცირება ეხებოდა რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ ნაწილს. ასევე აინტერესებდა რეკომენდაციებზე, რომლებიც გულისხმობდა, შედარებით ნაწილებს, თუ სანამდე უნდა გაეზარდა კონკრეტული საკითხების რაოდენობა დაწესებულებას. ეს ეხებოდა „ბენჩმარკინგს“ თუ პირობითი იყო მსგავსი ტიპის მინიშნებები რეკომენდაციებში.

ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ „ბენჩმარკინგი“ დადგენილი არ არის, კერძოდ, თუ რამდენი აკადემიური, ან რამდენი მოწვეული პერსონალი უნდა იყოს პროგრამაზე, თუმცა სტანდარტის მოთხოვნაა, რომ თავად დაწესებულებას ჰქონდეს შედგენილი ნიშნული და განსაზღვრავდეს თუ რამდენი უნდა იყოს აკადემიური პერსონალი პროგრამაზე. ექსპერტები მსგავს ნიშნულს ვერ დააწესებენ. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და ლოგიკურად დაასაბუთოს თუ რატომ არის მსგავსი განაწილება მისაღები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საუკეთესო პრაქტიკად გამოიკვეთა პერსონალის ძალიან კარგი პრაქტიკული გამოცდილება. რეკომენდაცია პერსონალის გაზრდას და მათი სამეცნიერო საქმიანობის უფრო მეტად გააქტიურებას უკავშირდებოდა. ასევე სამაგისტრო ნაშრომებს და მის პრაქტიკულ ხასიათის კვლევებს, რადგან შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები იყო პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული და ნაკლებად ჩანდა მათში კვლევითი სამეცნიერო კომპონენტი. არც ერთ ნაშრომში არ იყო ახსნილი კვლევის კომპონენტები, გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტები და ა.შ. გიგა ბედიჩიშვილმა აღნიშნა, რომ ისინი სამეცნიერო კვლევის სტანდარტების შესაბამის ნაშრომებს არ ითხოვდნენ სტუდენტებისაგან. დაწესებულება იზიარებს ექსპერტების იმ მოსაზრებას, რომ პრაქტიკული ელემენტებით გაჯერებულია სამაგისტრო ნაშრომები. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას „ბენჩმარკინგი“ დეკლარირებულად აქვს და სტრატეგიული მიმოხილვის ანგარიშში წერია თუ როგორია თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის და პროგრამების მიხედვით იგი განსხვავებულია. დაწესებულებას აქვს გაცხადებული ასეთი პოზიცია, რომ ბიზნესის მაგისტრატურა არა არის სამეცნიერო

კვლევის მიზნით შექმნილი. შესაბამისად, ასეთი პროგრამის განხორციელების საშუალებას იძლევა საქართველოს კანონმდებლობა. მისი თქმით, მაგისტრატურის კურსდამთავრებულებმა იციან, რომ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ მესამე საფეხური მათთვის გამოწვევა იქნება, რადგან როგორც უკვე აღნიშნა, წარმოდგენილი პროგრამა პრაქტიკული ხასიათისაა და ნაკლებ სამეცნიერო კვლევის კომპონენტებს შეიცავს.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს რამდენი მაგისტრის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა ჰქონდა. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს იყო ის საკითხი და რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება იზიარებდა, რომ უნდა დაწესდეს კონკრეტული რაოდენობა მაგისტრანტებისა ერთ ხელმძღვანელთან მიმართებით, რადგან უნივერსიტეტმა დაინახა რისკი და აპირებს რომ შესაბამისი ზღვარი დაადგინოს პრობლემების თავიდან აცილების მიზნით. ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ჩანაწერია მითითებული აკადემიური და კეთილსინდისიერი პრინციპების დაცვით. მას აინტერესებდა, სად იყო გაწერილი ეს სტანდარტები და როგორ ხდებოდა სტუდენტებისათვის ამის მიწოდება. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს გაწერილი იყო მაგისტრატურის დებულებაში და სხვადასხვა შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტში. ნაშრომის შესრულებისას ყველა სტუდენტს უტარდება ლექტორების მიერ ინსტრუქტაჟი. ასევე ხდება მითითება იმ შიდა რეგულაციებზე, რომლებსაც სავალდებულო წესით უნდა გაეცნოს სტუდენტი. პრაქტიკულად ნაშრომის ხელმძღვანელი ამ მოცემულ საკითხზე ორიენტირებულია მნიშვნელოვნად, რათა სტუდენტმა დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპი. მან აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროექტის მომზადების სილაბუსში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას აქვს არჩეული ჩიკაგოს სტილი, რაც დეკლარირებულია უნივერსიტეტის მიერ ოფიციალურად.

ვასილ კიკუტაძემ დაწესებულებას კითხვით მიმართა ლიტერატურასთან დაკავშირებით. მისი თქმით, „მარკეტინგული კვლევის სილაბუსში“ მითითებული იყო საკმაოდ ძველი გამოცემის ლიტერატურა. მას აინტერესებდა, გამომდინარე იქიდან, რომ მუდმივად ვითარდება და ცვლილებებს განიცდის ეს სფერო, რამდენად მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყოს 2009-2010 წლის გამოცემა. რექტორმა ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ლიტერატურის შეძენის და უზრუნველყოფის პრობლემა დაწესებულებას არ აქვს და პერიოდულად, მოთხოვნისამებრ ნახლდება სასწავლო კურსების ლიტერატურები. რაც შეეხება ამ კონკრეტულ კურსს, სავარაუდოა, რომ კურსის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიჩნია ეს სახელმძღვანელო მარკეტინგის საფუძვლების ნაწილში სასწავლებლად. პროფესორზეა დამოკიდებული რა სახელმძღვანელოთი ასწავლის. ასევე საგულისხმოა, რომ განახლებული წლების ლიტერატურა ერთი და იმავე ავტორისა შესაძლებელია, სრულადაც არა განსხვავდებოდეს წინა წლების გამოცემებისაგან. შესაბამისად, ამ ნაწილში სრულად ენდობა დაწესებულებას ლექტორის არჩევანს. სტუდენტების მაღალი შედეგები და სწავლის ხარისხი ამ ყველაფერზე მეტყველებს. ექსპერტების მხრიდან სასურველი იქნებოდა კურსის განმახორციელებელ პერსონალთან გადაემოწმებინათ მიზეზი თუ რატომ იყო კონკრეტული წლის ლიტერატურა მითითებული ამ სასწავლო კურსში. ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად სილაბუსებში გასწორებული იყო ახალი ფორმით შეფასების ფორმულირება, ხოლო პროგრამებში ისევ ძველი სახით იყო მოცემული. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევს დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში თანდართულ ფაილად მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, რომლის ერთ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო მეორე ნაწილში სადიპლომო პროექტია მითითებული. მას აინტერესებდა, ეს კონკრეტული სასწავლო კურსი იყო თუ ტექნიკურ ხარვეზს ჰქონდა ადგილი. დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ ეს იყო სასწავლო კურსი, რომელიც სამაგისტრო პროგრამისთვის იყო

განკუთვნილი და ჰქონდა დამოუკიდებელი კრედიტები მინიჭებული. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამა. მას სურდა კომენტარი გაეკეთებინა იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა კვლევითი კომპონენტის ასახვას პროგრამებში. მისი აზრით, კვლევის კომპონენტი პროგრამებში ასახულია. საბაკალავრო პროგრამაში ეს სასწავლო კურსი სრულფასოვნად ინტეგრირებულია კვლევის მეთოდების სათაურით, რაც მისი აზრით ინსტიტუციის ხედვას და დამოკიდებულებას ამ ცოდნით პარამეტრისადმი კარგად ადასტურებს. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ტექსტიდან გამომდინარე, „დაემატოს სასწავლო კურსი...“, მიაჩნია, რომ სასწავლო კურსი არსებობს, თუმცა მისი დასათაურება არ არის იდენტური საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი სათაურისა. მაგალითად, „მარკეტინგის კვლევის“ სასწავლო კურსი ასახავს იმ სრული სპექტრის კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ცოდნასა და ინსტრუქციებს. თავად სახელმძღვანელოც მსგავსი დასათაურებისაა, რომელიც შეიცავს კვლევითი უნარებისათვის საჭირო ცოდნას იაკობუჩისა და ჩერჩილის სახელმძღვანელოებზე დაფუძნებით. ყველა თემატიკა არის მითითებული. ასევე რა არის კვლევა, მისი ჩატარების წესი, მისი გამოყენება სხვადასხვა დარგებში და ა.შ. ასევე აუცილებელ ლიტერატურაში მითითებულია ისეთი ცნობილი წყაროები, როგორებიცაა ალან ბრაიმანის „სოციალური კვლევის მეთოდები“. ასევე სონდერსის სახელმძღვანელო, რომელიც იდეალურია ამ დარგისთვის. „ცოდნა“ ინტეგრირებულია პროგრამაში, არჩევით ნაწილში, მაგალითად ბაკალავრიატში, სხვა დასახელებით, რომელიც ძირითად სასწავლო კომპონენტშია მოცემული. მისი თქმით, სონდერსის სახელმძღვანელო, რომელიც ძირითად ლიტერატურაში ჰქონდა დაწესებულებას მითითებული, ერთ სამაგისტრო პროგრამაში იყო 2007 წლის, ხოლო მეორეში 2009 წლის გამოცემა. ამ ორ გამოცემას შორის დიდი განსხვავებაა. შესაბამისად, კარგი იქნება თუ დაწესებულება გადახედავს ამ საკითხს. დიმიტრი ჯაფარიძემ დაწესებულებას მიმართა, რომ იმ სტატისტიკასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილი იყო აკადემიური არაკეთილსინდისიერების თაობაზე და დაწესებულების მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაცია, განმარტება გაეკეთებინა. ვახტანგ ლეჟავამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს მკაცრი მიდგომა ჰქონდა მსგავს საკითხზე და წარმოდგენილი სტატისტიკა რეალური იყო. მან აღნიშნა, რომ პირველივე ჯერზე არ ხდებოდა სტუდენტის გარიცხვა უნივერსიტეტიდან თუ ადგილი არ ექნებოდა რაიმე მძიმე გადაცდომას. დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას ჩარიცხული სტუდენტების მიმართ სახელმწიფო გრანტის არსებობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი იყო ძალიან მაღალი პროცენტულობა ჩარიცხული სტუდენტების, რომლებსაც 100% გრანტი ჰქონდათ. მას აინტერესებდა ბოლო წლების სტატისტიკა ჩარიცხული სტუდენტების. დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ 10 წლიანი სტატისტიკის ფარგლებში საშუალოდ 95% სტუდენტებისა არის 100% გრანტის მფლობელი. გამონაკლისია ის სტუდენტი, რომელიც მეორედ აბარებს საბაკალავრო საფეხურზე და კანონმდებლობის მიხედვით ვეღარ იღებს გრანტს. ხელოვნების დარგის სტუდენტებს თუ სურთ გრანტის გაუმჯობესება, მაშინ მათ აქვთ უფლება საგრანტო გამოცდის ჩაბარების. საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ ასევე აღნიშნა, რომ გაეცნო ექსპერტების იმ რეკომენდაციას და არგუმენტირებულ პასუხს, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსის დამატებას. მას აინტერესებდა, არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებული მოსაზრებაში რა იგულისხმებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორთოგრაფიულ შეცდომას ჰქონდა ადგილი და გულისხმობდნენ ემპირიულ გამოცდილებას კონკრეტული საკითხისადმი. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართ სრულიად ნათელი იყო დაწესებულების მიერ შემუშავებული ეფექტური პოლიტიკა, რომელიც შედეგებს იძლეოდა. რაც შეეხება პროგრამულ უზრუნველყოფას, ის შესაძლებელია რჩევის სახით იყოს დასკვნაში, რადგან ეს პრაქტიკულად დახმარება აკადემიური პერსონალს. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართ სრულიად ნათელი იყო დაწესებულების მიერ შემუშავებული ეფექტური პოლიტიკა, რომელიც შედეგებს იძლეოდა. რაც შეეხება პროგრამულ

უზრუნველყოფას, ის შესაძლებელია რჩევის სახით იყოს დასკვნაში, რადგან ეს პრაქტიკულად დახმარება აკადემიური პერსონალს. რაც შეეხება წინაპირობების საკითხს, ის სრულად ვერ ეთანხმება დაწესებულებას და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია ორი სილაბუსი, კერძოდ, კომპანიის ღირებულების შეფასება და კორპორაციის ფინანსები. კორპორაციის ფინანსების წინაპირობად მითითებულია ფინანსური აღრიცხვა, ხოლო კომპანიის ღირებულების შეფასება წინაპირობების გარეშეა. მისი თქმით, ეს არალოგიკურია, რადგან საჭიროა სტუდენტმა გაიაროს ჯერ კონკრეტული სასწავლო კურსები და შემდეგ შეისწავლოს ეს უკანასკნელი. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში გამოყენებული სიტყვა „ჰოლისტური“ გულისხმობს, რომ პროგრამის შემადგენელი ნაწილები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამული შედეგის მიღწევას მთლიანობაში და პროგრამა ლოგიკურად უნდა იყოს აგებული, რაც ნიშნავს წინაპირობების მითითებას. ამ ნაწილში ექსპერტების პოზიციას იზიარებს. დაწესებულების წარმომადგენელმა, გიგა ბედიჩიშვილმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა გოჩა თუთბერიძის მოსაზრებას, რადგან კომპანიის შეფასება არ არის გაგრძელება ბუღალტრული საკითხების. შესაბამისად, შესაძლებელია ყველა საგანი იყოს მისი წინაპირობა. ეს უკანასკნელი გარკვეული საკითხებს მოიცავს ბევრი სასწავლო კურსიდან. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მიზანი მენეჯერს ასწავლოს იმის შესახებ თუ რატომ არის მათი მენეჯერობა ეფექტური იმ შემთხვევაში თუ მან იცის ღირებულების გაზომვა და ზრდა. ამ შემთხვევაში ეს არის დამაგვირგვინებელი საგანი. შესაბამისად, ყველა საგანი შესაძლებელია იყოს მისი პრე რეკვიზიტი.

ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ მხარეებს შორის კამათი არის არა იმაზე ვის უფრო კარგად ესმის ბიზნესის საკითხები, არამედ იმაზე, რომ ამ დარგის თითოეული მცოდნე შეიძლება განსხვავებულად ხედავდეს ბიზნესის სწავლის საკითხებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ყველა მიდგომას აქვს თავისი ფასეულობა და სწორედ ამიტომაც არსებობს განსხვავებული მიდგომები, საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:00

დასრულების დრო: 18:30

პროგრამა 1: „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

პროგრამა 2: „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი „ფინანსების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს

აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

მეორე საკითხის დაწყებამდე საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ ლომინაძე.

მეორე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული ინგლისური კომპონენტებით;

კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა №2

„ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ინგლისური;

კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა №3

„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა №4

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული ინგლისური კომპონენტებით;

კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №5

„ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული ინგლისური კომპოენენტებით;

კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №6

„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი იზა ბუკია მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო კლასტერული აკრედიტაციის შესახებ განაცხადი, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე. კლასტერის პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა, შემდეგია, კერძოდ: კომპონენტი 1.2. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა „მეტწილად შესაბამისობაშია“ 1.4. კომპონენტთან, საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი, „მეტწილად შესაბამისია“ დადგენილ მოთხოვნებთან. კომპონენტის 1.5. ფარგლებში საბაკალავრო პროგრამები „ბიზნესის ადმინისტრირება“ ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი და „ბიზნესის ადმინისტრირება“ სამაგისტრო პროგრამა „მეტწილად შესაბამისია“ დადგენილ მოთხოვნებთან. კომპონენტი 2.1.-ის ფარგლებში "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა „მეტწილად შესაბამისია“ დადგენილ მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.2. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის"

სამაგისტრო პროგრამა „მეტწილად შესაბამისია“ დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო რაც შეეხება 4.2. კომპონენტის ნაწილში, პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა „არ არის შესაბამისი“ დადგენილ მოთხოვნებთან. ყველა სხვა კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისია“ დადგენილ სტანდარტის მოთხოვნებთან. რაც შეეხება რეკომენდაციებს აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტის ფარგლებში გაცემული იყო კლასტერული რეკომენდაციები, კერძოდ „რეკომენდებული აღიწეროს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი ქვეკატეგორიების გამოყენებით: "ცოდნა და გაცნობიერება - უნარი - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" და მეორე რეკომენდაცია „რეკომენდებულია გამარტივდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და სტრუქტურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სწავლის შედეგის გაზომვადობა და ყოველი სწავლის შედეგი ფოკუსირებული იყოს ერთ ძირითად საკითხზე“. ასევე გაცემული იქნა ინდივიდუალური რეკომენდაციები კონკრეტული პროგრამებთან დაკავშირებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ იქნა რეკომენდაციები, კერძოდ, საგანი "სოციალური კვლევის მეთოდები" რეკომენდებულია გახდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტი, ან ეს კურსი უნდა მოდიფიცირდეს და სავალდებულო კომპონენტად შემოვიდეს "კვლევის მეთოდები" და/ან "კვლევის მეთოდები ბიზნესში". ასევე „თვითშეფასების დოკუმენტში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი“. გარდა ამისა, „თვითშეფასების დოკუმენტაციაში კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომაა: "მენეჯმენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების" სილაბუსში არასწორადაა მითითებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების ჯამური ქულა“. რაც შეეხება „ბიზნეს ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას გაცემული იყო ორი რეკომენდაცია, კერძოდ: „თვითშეფასების დოკუმენტში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი.“, ხოლო მეორე რეკომენდაცია: „თვითშეფასების დოკუმენტაციაში არის კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომა: საგნის "შესავალი ლიდერობაში" სილაბუსში არ არის მითითებული ძირითადი ლიტერატურის დასახელება, მითითებულია მხოლოდ ავტორი, გამოცემის რიგითობა და გამოცემის წელი.“ რაც შეეხება კომპონენტ 1.5.-ს, „ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო ქართულენოვან პროგრამაზე გაცემულია ორი რეკომენდაცია „რეკომენდებულია წასაკითხი ლიტერატურის სიები, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის 5-ზე მეტი ერთეულია მოცემული, გადაიხედოს და ჩასწორდეს ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს სავალდებულო მასალის ეფექტურად ათვისება“. ამავე კომპონენტში ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაზე გაცემული იყო რეკომენდაცია: „რეკომენდებულია წასაკითხი ლიტერატურის სიები, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის 5-ზე მეტი ერთეულია მოცემული, გადაიხედოს და ჩასწორდეს ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს სავალდებულო მასალის ეფექტურად ათვისება.“ „ბიზნეს ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ იქნა ხუთი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დიმიტრი გეგენავა, მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ასოცირებული პროფესორმა, თამარ მიქაბერიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციები საფუძვლიანია, თუმცა დაწესებულებას გააჩნია საკუთარი მოსაზრებები გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით. უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილს, თუმცა მიაჩნია, რომ თავისი შინაარსით ისინი ტექნიკური ხასიათისაა და რჩევებს წარმოადგენენ. დასკვნის პროექტში ისინი რჩევები იყო, თუმცა ექსპერტების მიერ დასკვნის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ნაწილში მოცემული აქვთ, რომ თავდაპირველად დასკვნის პროექტში მოცემული იყო რჩევები, ხოლო შემდეგ, ცენტრის მითითებით ეს რჩევები გადავიდა რეკომენდაციებში. ბიზნესის

ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორებას, კერძოდ, აღნიშნულია, რომ სილაბუსში მითითებულია რამდენიმე საგანი, რომელიც სილაბუსის მიხედვით სავალდებულოა, ხოლო კურიკულუმის მიხედვით არჩევითი. მისი თქმით, მხოლოდ ერთი საგანია ასეთი, კერძოდ, „სოციალური კვლევის მეთოდები“ კურიკულუმის მიხედვით არჩევითია და სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო. შესაბამისად, ეს არის ტექნიკურ ხასიათის შეცდომა, რომელიც გამოსწორდება. მეორე ტექნიკური ხასიათის შეცდომა ეხებოდა სილაბუსს „საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტში“, სადაც არასწორად არის მითითებული შეფასების კომპონენტების და ფორმების ჯამური ქულა. აქ საუბარია რვა ზეპირ შეფასებაზე. თითოეული ხუთ ქულიანია. შესაბამისად, სილაბუსის ქართულ ვერსიაში ნაცვლად 40-ისა მითითებულია 30 ქულა. შესაბამისად, ეს არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც გამოსწორდება. რაც შეეხება „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას, რეკომენდაცია გაცემულია ტექნიკური ხასიათის შეცდომასთან დაკავშირებით, კერძოდ, სილაბუსში არჩევითი საგანი მითითებულია როგორც სავალდებულო და „შესავალი ლიდერობაში“ კურსის სილაბუსში მითითებულია ყველაფერი გარდა ძირითად ლიტერატურაში. მხოლოდ სახელწოდების დასახელება აკლია სახელმძღვანელოში, რომელიც გამოსწორდება. რეკომენდაციებს, რომლებსაც იზიარებს დაწესებულება და არ არის ტექნიკური ხასიათის შეცდომების გამოსწორებისკენ მიმართული არის 1.5. კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია, რომელიც „ბიზნეს ადმინისტრირების“ როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას უკავშირდება. უნივერსიტეტი შეამცირებს წასაკითხი ლიტერატურების რაოდენობას. მისი თქმით, ეს რეკომენდაციაც იყო თავდაპირველად რჩევებში და შემდეგ ცენტრის მითითებით გადატანილი იქნა რეკომენდაციებში. 3.2. კომპონენტთან დაკავშირებით ყველა სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას იზიარებს დაწესებულება. დაწესებულება არ იზიარებს კლასტერის რეკომენდაციას. კომპონენტი 1.2., რომლის მიხედვით, „რეკომენდებული აღიწეროს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი ქვეკატეგორიების გამოყენებით: "ცოდნა და გაცნობიერება - უნარი - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" და აღნიშნავს, რომ ინსტიტუცია სარგებლობს პრაქტიკაში არსებული და დამკვიდრებული პროგრამის დიზაინით, სადაც პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია კრებისთან, კლასტერის პროგრამების შემთხვევაშიც, სწავლის შედეგები აერთიანებს როგორც ცოდნა გაცნობიერებას, ასევე ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგებს, ამასთან, მოქმედი მარეგულირებელი აქტები არ მიუთითებს, რომ პროგრამაში რაიმე ქვე კატეგორიზაცია უნდა მოხდეს ან არ უნდა მოხდეს. მსგავსი ჩანაწერი არ არის დარგობრივ მახასიათებელში მითითებული. შესაბამისად, რადგან რეკომენდაცია ატარებს სავალდებულო ხასიათს, კანონმდებლობასთან შეუსაბამო რეკომენდაციას არ დაეთანხმება დაწესებულება, ვინაიდან მსგავსი საკითხის გადაწყვეტა ინსტიტუციის დისკრეციაა. ასევე, ამავე კომპონენტის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი ბაზრის საჭიროებებთან. სწავლის შედეგებში აქტივობებზე და შედეგებზე არის ორმაგი ყურადღება, რაც ხაზს უსვამს პროგრამის გამოყენებას, ინტერდისციპლინარულ მიდგომას, ამასთან პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისია. შედეგების გაზომვის ნაწილში ინსტიტუცია იყენებს გამჭვირვალე კომპლექსური შედეგების ერთობლიობას. ასევე ზმნების გამოყენება ეყრდნობა ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებელს და სწავლის შედეგი ეფუძნება განხორციელებად გაზომვად ელემენტებს, რომლებიც შეესაბამება როგორც პროგრამის მიზნებს, ისე ბლუმის ტაქსონომიის პრინციპებს და ეს ყოველივე წარმოადგენს მყარ საფუძველს, იმისათვის, რომ სტუდენტების მიღწევების შეფასება ნამდვილად მოხდება. შესაბამისად ამ რეკომენდაციასაც არ იზიარებს დაწესებულება. რაც შეეხება კომპონენტი 1.4. თან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების

საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო პროექტს, რომლის წინაპირობადაა განსაზღვრული ძირითადი საგნების უმრავლესობა და მოიცავს კვლევისა და ანალიზის უნარების განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული კურსები სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც სტუდენტს სჭირდება საბაკალავრო პროექტის წარმატებით მომზადებისათვის და დამატებითი კურსის სავალდებულო ნაწილში შემოღებას აღარ საჭიროებს პროგრამა. შესაბამისად არ იზიარებს ინსტიტუცია აღნიშნულ რეკომენდაციას. რაც შეეხება კომპონენტი 2.1. აღნიშნა, რომ ადამიანურ რესურსების მართვის პროგრამა შეესაბამება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს, თავსებადია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ამასთან საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი არ იყო რეგულირებადი პროფესია, შესაბამისად უნივერსიტეტი თავისუფალია თავად განსაზღვროს დაშვების წინაპირობები სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან საგულისხმოა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია გასაუბრება დარგობრივ ნაწილში კომისისათან, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საჭირო ცოდნით აღჭურვილი კადრების შერჩევას. შესაბამისად, ამ რეკომენდაციასაც არ იზიარებს დაწესებულება და მიაჩნია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად არის მიკუთვნებული დაწესებულებისთვის ეს საკითხი დისკრეციული უფლებამოსილების განსახორციელებლად. რაც შეეხება 1.5. კომპონენტს, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პაპაჩაშვილმა, აღნიშნა, რომ გაცემული ხუთივე რეკომენდაცია უკავშირდება სასწავლო კურსს „სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“. ექსპერტები მიუთითებენ მოცემული სასწავლო კურსის კომპლექსურობაზე, რომელთან დაკავშირებითაც წარდგენილი ჰქონდა დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიცია. მისი თქმით, კურსი იწყება თამაშთა თეორიის გარკვეული ელემენტებით, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღება არის არსებითი საკითხი სამაგისტრო დონეზე შესწავლის პროცესში. კომპლექსურობის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ღია წვდომის საინფორმაციო წყაროები იძლევა შესაძლებლობას, რომ განმარტების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები მყისიერად დაეუფლონ საჭირო ცოდნას. გაზიარებული იქნა დაწესებულების მხრიდან ცნობილი უნივერსიტეტის პრაქტიკა, სადაც ინტეგრირებულია რამდენიმე კურსი და ინოვაციური შეთავაზება მოხდა ორი ძირითადი მიმართულები. რაც შეეხება სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართულებას, მასში ინტეგრირებულია თამაშთა თეორიის ელემენტები და მიაჩნია დაწესებულებას, რომ მოცემული კურსების კომპლექსური შეთავაზება არ აზიანებს პროგრამას და დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმალურ შედეგზე გადის სტუდენტი კურსით შეთავაზებული მასალით. მისი თქმით, ყურადღებაამისაქცევია აკადემიური თავისუფლების საკითხი, ვინაიდან კურსის განმახორციელებელზეა დამოკიდებული თუ როგორ შეთავაზებს ამა თუ იმ კურსს სტუდენტებს, რა თქმა უნდა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. აქვე აღნიშნა, რომ დანარჩენი რეკომენდაციები რაც მოჰყვება პირველი რეკომენდაციის ძირითად ჩანაწერს, უკავშირდება მოცემული კურსის ორ კურსად გაყოფას და ა.შ. შესაბამისად, საბჭოს წევრების მიმართ ჰქონდა თხოვნა, რომ მათ ყურადღება მიექციათ, შესაძლებლობისთვის, რომელიც აქვს ინსტიტუციას, ინოვაციურ მიდგომასთან, კომპლექსურობასთან და აკადემიური თავისუფლებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანი არის რომ დასახელებული კურსი გადის იმ შედეგზე რაც კურსს აქვს დასახული განაცხადა მან, შესაბამისად არ ეთანხმება დაწესებულება გაცემულ რეკომენდაციებს. შესაძლებელია სათაური იწვევდეს კითხვებს, თუმცა მიაჩნიათ, რომ ეს არის სწორედ ის საკითხი რაც შეიძლება აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ჰქონდეს კურსის განმახორციელებელ პერსონალს.

დიმიტრი გეგენავამ 4.2. კომპონენტთა დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის მოულოდნელი იყო მსგავსი ტიპის შეფასება, რადგან პირველად პროექტში ადამიანური რესურსების მართვის პროგრამასთან დაკავშირებით 4.2. ქვეკომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილად შესაბამისი“. დაწესებულების მოსაზრებით გაცემული რეკომენდაცია

გულისხმობდა, რომ სამაგისტრო პროექტის პოტენციურ ხელმძღვანელთა სიის ცალკე ერთ დოკუმენტად წარმოდგენას. აღსანიშნავია ის, რომ სამაგისტრო პროექტის ყველა ხელმძღვანელის თაობაზე ინფორმაცია, ისევე როგორც სრულად პერსონალის, წარმოდგენილია თანდართულ ფაილად. დაწესებულება თავის პასუხში დაეთანხმა გაცემულ რეკომენდაციას, ვინაიდან ეს იყო ტექნიკური ხასიათის საკითხი. ასევე საგულისხმოა, რომ საბოლოო დასკვნაში, იგივე ნარატივით, სტანდარტი შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისი“ დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, სურდა ექსპერტებისაგან მოესმინა მიზეზი ასეთი შეფასების. როგორც შინაარსობრივ, ისე პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევას, ვინაიდან უსაფუძვლოდ, დასკვნის პროექტში არსებული ნარატივით და იმავე რეკომენდაციით მოცემულ სტანდართან მიმართებით შეფასების რადიკალურად შეცვლა, პროცედურული დარღვევაა, ისევე როგორც შინაარსობრივი. ასევე მიაჩნია, რომ მოცემული საკითხი საშიში პრეცედენტია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილებები პრეცედენტულია, და თუ კი ამგვარი პრეცედენტის დაშვება მოხდება, თავდაყირა დააყენებს აკრედიტაციის საკითხებს. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მსგავსი მოქმედება, არ ჰქონია მიმდინარე პრაქტიკაში. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნის მთელი პათოსი და იდეა თავისი შინაარსით, დადებითია, რომ არა ის დარღვევა რაზედაც მიუთითა. ასევე გაუგებარია მისთვის, ტექნიკურ საკითხებზე გაცემული რჩევები რატომ იყო გადაატანილი რეკომენდაციებში, როდესაც ტექნიკურად ძალიან მარტივად იყო შესაძლებელი მათ გამოსწორება. რჩევების ნაწილი ცენტრის მითითებით გადატანილი იქნა რეკომენდაციებში. შესაბამისად, ამ ნაწილში დაწესებულებას მიაჩნია, რომ ამის უფლება ცენტრს კანონიდან გამომდინარე არ ჰქონდა. ასევე აღნიშნა, რომ ყველა დარგის სპეციალისტს შესაძლებელია პროგრამებთან ჰქონდეს განსხვავებული მიდგომა, დაწესებულება კანონის შესაბამისად მოქმედებს და მისი მიდგომები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით სრულად კანონის შესაბამისია. აკრედიტაციის პროცესი, დაწესებულების აკადემიური თავისუფლების მაქსიმალურად უზრუნველყოფაა შედეგების მიღწევის მიზნით. აკადემიური თავისუფლების ნაწილია კურსების წარმოდგენა ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად, მთავარია გადიოდეს დადგენილი მოთხოვნებით შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით, მიმართა დაწესებულებას „სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებისა“ და „თამაშთა თეორიასთან“ დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსი და ლიტერატურა შეესაბამება საბაკალავრო დონეს. ასევე დარგობრივი დოკუმენტი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სწავლის შედეგი უნდა იყოს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული თანამედროვე კონცეფციებით, თეორიებით, მიდგომებითა და მოდელებით. ასევე კრიტიკულად და არგუმენტირებულად უნდა მსჯელობდეს სტუდენტი ბიზნეს სტრატეგიებსა და ლიდერობის საკვანძო საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ თეორიულად შესაძლებელია ეს ყოველივე მოქცეული იყოს ერთ საგანში, თუმცა საგულისხმოა, რამდენად იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევა, ამ ნაწილში დგას კითხვა.

გიორგი ღაღანიძეს კითხვა ჰქონდა „გლობალურ ბიზნესთან“ მიმართებით. მისი თქმით, საგანი კარგია, თუმცა მითითებული ლიტერატურა საბაკალავრო დონისაა. გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები პროგრამას გააუმჯობესებს. ასევე ექსპერტებისაგან აინტერესებდა 4.2. კომპონენტთან მიმართებით რას ჰქონდა ადგილი პროცესში, და რატომ მოხდა სტანდარტის შეფასების შეცვლა „მეტწილად შესაბამისობიდან“ „არ არის შესაბამისი“ შეფასებამდე.

აკაკი ცომაიამ აღნიშნა, რომ „სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“ კურსის შექმნის ინსპირაცია გახდა. შრომის ბაზრის კვლევა, სტრატეგიული ინტერაქცია, მიმდინარე ბიზნეს სტრატეგიები, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და ა.შ. ეს არის ის საკითხები, რომლებზეც კომპანიებს აქვთ მითითება, რომ

მსგავს საკითხებში გარკვევა კურსდამთავრებულის მნიშვნელოვანია. დაწესებულებისთვის ინსპირაციის წყარო აღმოჩნდა ის, რომ ამერიკის უნივერსიტეტებში, რომელთა ჩამონათვალი მითითებულია არგუმენტირებულ პასუხში, თამაშთა თეორია და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები ინტეგრირებულია სტრატეგიული მენეჯმენტის კურსში. საგულისხმოა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის მსგავსი სახის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს კურსში გათვალისწინებულ ყველა საკითხს არ არის შემუშავებული, თუმცა შემუშავებულია ბიზნეს ქეისები, რომლებიც მოითხოვს კონკრეტული ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტას, ამერიკული ბიზნესების მაგალითზე, რომელიც პრაქტიკაში საკმაოდ კარგად არის დანერგილი. ასევე აღნიშნა, რომ თამაშთა თეორია დღეს არ არის მიკრო ან მაკრო ეკონომიკის ნაწილი, არის ცალკე აღებული დისციპლინა, რომელსაც იყენებს მრავალი დარგი, თუმცა არსებობს კომპონენტები, რომლებიც ერგება კონკრეტულ დისციპლინას და პრაქტიკული უნარების განვითარებით ინტეგრირდება პროგრამაში. მისი თქმით, შესაძლებელი იყო სხვა ბევრი სახელმძღვანელოს მითითება, თუმცა როგორც კურსის ავტორმა მიიჩნია ნიკოლსონის სახელმძღვანელოში ის კომპონენტები, რომლებიც სჭირდება მათ გადაწყვეტას იყო ყველაზე რელევანტური. ასევე აღნიშნა, რომ მითითებული სახელმძღვანელო და ის თემები, რომლებიც განიხილება კურსში, არის საბაკალავრო დონის.

ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებდა დაწესებულების გაკვირვებას ადამიანური რესურსების მართვის პროგრამის 4.2. კომპონენტის შეფასების გამო. მისი თქმით, ეს საკითხი დიდი ალბათობით დამუშავდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ, თუმცა როგორც ექსპერტი, რომელსაც აქვს დისკრეცია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს დაწესებულების პოზიცია, ასეთ შემთხვევაში, იზიარებს იგი დაწესებულების პოზიციას და გაოცებას გამოხატავს ამ საკითხთან მიმართებით. მან საბჭოს სთხოვა, რომ გაეთვალისწინებინა ეს საკითხი. მისი თქმით, საერთაშორისო ექსპერტს აღნიშნული საკითხის შეფასების თაობაზე დისკუსია არ ჰქონია. შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს ტექნიკური ხარვეზი.

ექსპერტმა ნანა ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია იყოს ტექნიკური ხარვეზი, ვინაიდან რეკომენდაციის შინაარსი არ მიუთითებს იმ მოცემულობაზე, რომ სტანდარტი უნდა შეფასებულიყო როგორც „არ არის შესაბამისი“ დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტმა იზა ბუკიამ აღნიშნა, რომ იგი არ არის მოცემული დარგის სპეციალისტი და არ მიუღია მონაწილეობა შეფასებაში, თუმცა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს კომუნიკაცია არ ჰქონიათ ამ სტანდარტის შეფასების რადიკალურად შეცვლასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომები ჯერ შესრულებული არ იყო წარდგენილ პროგრამაზე, რომ პირადი საქმეები უკვე ატვირთული იყო სრულყოფილად და ჩანდა, რომ სამაგისტრო ხელმძღვანელები ჩართულები იყვნენ დაწესებულებაში სხვა პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად. მას აინტერესებდა, რით აიხსნებოდა ეს ფაქტი.

დიმიტრი გეგენავამ დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე მოცემულ პროგრამაზე სამაგისტრო პროექტი, რომელიც სრულდება ბოლო სემესტრში, ამ დროისათვის ჯერ შესრულებული არ არის, ხოლო სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელები ჩართული არიან სხვა პროგრამების განხორციელებაში.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ როდესაც დასკვნის საბოლოო ვერსიას ხელს აწერს ყველა ექსპერტი ეს ნიშნავს, რომ ეთანხმებიან ისინი დასკვნის ყველა კომპონენტს. შესაბამისად, მისთვის გაუგებარი იყო ექსპერტების ასეთი განცხადება. მას აინტერესებდა, რა იყო პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნა, გაცნობიერების, პასუხისმგებლობა ავტონომიურობის თვალსაზრისით დაჯგუფების შესახებ გაცემულ რეკომენდაციის საფუძველი. ვასილ კიკუტაძის თქმით, სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო პროექტს, რომელსაც წინ უძღვის მთელი რიგი საგნები. მიუხედავად ამისა ექსპერტების რეკომენდაციით მოთხოვნილია წინაპირობად სოციალური კვლევის მეთოდები. მას აინტერესებდა, რით იყო განპირობებული მსგავსი რეკომენდაციის გაცემა. ასევე მას

საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე კითხვა ჰქონდა, სადაც საუბარი იყო წასაკითხი ლიტერატურის რაოდენობის შემცირებასა და მისი ხუთი ერთეულით განსაზღვრაზე. მას აინტერესებდა, რა გახდა საფუძველი ამ რეკომენდაციის გაცემის. ასევე შესაძლებელია კონკრეტული სახელმძღვანელოდან იყენებდე ლექტორი რამდენიმე თავს ან გვერდს, და თუ იქნა ეს გამოკვლეული.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა შემდეგს: „რეკომენდებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი დაშვების წინაპირობების მოთხოვნების დახვეწა, იმის განცხადებით, რომ სასურველია ან სავალდებულო ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გადამოწმებადი პრაქტიკული გამოცდილების არსებობა“. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ კონკრეტულად ექსპერტები ამ რეკომენდაციაში. ექსპერტმა იზა ბუკიამ განაცხადა, რომ კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში ყველა ექსპერტს დაყოფილი ჰქონდა შესაფასებელი სფეროები. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა თემას ვერ მოიცავს ერთი ექსპერტი, ბუნებრივია ვერ მოხდებოდა სხვისი შეფასებული ნაწილის ახლიდან შეფასება. ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვან პროგრამაში „სოციალური კვლევის მეთოდების“ როგორც სავალდებულო კომპეტენციის საგნის მოხსენების ვალდებულებას ეფუძნება ის ფაქტი, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა კვლევის მეთოდების შესახებ, კერძოდ, როგორ ჩაატარონ კვლევა და როგორ გამოიყენონ კვლევის მეთოდები. რაც შეეხება კითხვას ლიტერატურის რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციაში საუბარი იყო არა მხოლოდ რაოდენობაზე, არამედ იმ საგნების ჩამონათვალში, თემების ნაწილში, სადაც კონკრეტულად გვერდების ჩამონათვალი იყო მითითებული, თითოეული თემის სალექციო მასალა 100-150 გვერდამდე ყოფილიყო. სტუდენტის შესაძლებლობებს არ უნდა აღემატებოდეს დასაძლევ მასალა. შესაბამისად, ამ სახის რეკომენდაცია გაცემულ უნდა იყოს როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამის მიმართ, რადგან ორივე პროგრამაში ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა მერყეობს 8-21 გვერდამდე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნას, უპირველესად რეკომენდაციებზე მიმდინარეობს მსჯელობა და საბოლოო დოკუმენტი ფიქსირდება ხელმოწერით. თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება საბოლოო დოკუმენტს, მაშინ მას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება. ამ შემთხვევაში განსხვავებული აზრი დასკვნასთან დაკავშირებით არ არის. მას კიდევ ერთხელ სურდა მოსმენა ექსპერტების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მას აინტერესებდა მხარეების განმარტება იმ საკითხზე, რომელიც თავდაპირველად იყო რჩევა, ხოლო შემდგომ გადავიდა რეკომენდაციაში ცენტრის მოთხოვნით. მისი თქმით, მსგავსი რამ მის პრაქტიკაში არ ყოფილა, კერძოდ, ცენტრი ჩარეულიყო ტექნიკური საკითხების დაზუსტებასა და გასწორებაში, თუმცა ფაქტია, რომ რჩევა გადატანილია რეკომენდაციებში. ექსპერტი დამოუკიდებელია პროგრამის შეფასებაში. მას აინტერესებდა, პროგრამის მიმართ არსებული რეკომენდაციები წარმოადგენდნენ თუ არა რჩევებს. ასევე აღნიშნა, რომ ლიტერატურის დაზუსტების თაობაზე გაცემულ რეკომენდაციას იზიარებდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა „ბიზნესის საფუძვლების“ სილაბუსს. მისი აზრით, ეს კურსი არის გადასამუშავებელი, რადგან ძალიან ეკლექტურია. სილაბუსის ავტორი ცდილობს, რომ მაქსიმალურად ორიგინალური მოცემულობა შექმნას, თუმცა საგულისხმოა, რომ აქ საუბარია პირველი სემესტრის სტუდენტზე. სილაბუსში მითითებულია ვან ჰორნის სახელმძღვანელო „ფინანსური მენეჯმენტის“. სანამ ამ საკითხს ისწავლის სტუდენტი, აუცილებელია მან ფინანსური აღრიცხვის კურსი გაიაროს. შესაბამისად მას მიაჩნია, რომ პირველი სემესტრის სტუდენტისთვის მეტად რთული, მიაჩნია რომ გამარტივებული უნდა იყოს კონკრეტული კურსი მაქსიმალურად და რაც შეიძლება გაცნობითი ხასიათი ჰქონდეს მას.

ექსპერტმა გიორგი მერაბიშვილმა 4.2. კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დოკუმენტებს ერთად გადახედეს. შესაბამისად, დასკვნაში აღნიშნული კომპონენტის „სრული

შესაბამისობა“ საერთო შეფასება იყო. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი წმინდად ტექნიკური ხასიათის უზუსტობას წარმოადგენს.

უმალესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, თამთა მოხევიშვილმა, განმარტა, რომ საბოლოო დასკვნა ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის გაზიარებული იქნა იმ ფორმით, როგორც საერთაშორისო ექსპერტმა გამოაგზავნა. შესაძლებელია, რომ ცენტრის მიერ გაგზავნილი საბოლოო დასკვნა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გამორჩათ და ამიტომ არის ეს გაუგებრობა. სიტუაცია იყო ასეთი, როდესაც მათ ექსპერტებს გაუზიარეს არგუმენტირებული პოზიცია, შესაძლოა, საერთაშორისო ექსპერტმა საბოლოო დასკვნა ისე შეადგინა, რომ ჯგუფის წევრებთან არ გაიარა კონსულტაცია. თუმცა არ იცის ზუსტად ასე იყო თუ არა. მისი თქმით, როდესაც საერთაშორისო ექსპერტის მიერ მიღებული იქნა საბოლოო დასკვნა, მან განუმარტა საერთაშორისო ექსპერტს, რომ თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მის ასეთ ქმედებას, და ჰკითხა საერთაშორისო ექსპერტს, ნამდვილად ეს შეფასება ჰქონდა განსაზღვრული, თუ არა, რაზედაც მან აღნიშნა, რომ არგუმენტირებულმა პოზიციამ არ დააკმაყოფილა და საბოლოოდ შეაფასა კომპონენტი, როგორც „არ არის შესაბამისი“ დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე ექსპერტთა თავმჯდომარის პოზიცია იყო ის, რომ თუ საბჭოს წევრები არ დაეთანხმებოდნენ მის მოსაზრებას და შეცვლიდნენ, მაშინ მისთვის ეს მისაღები იქნებოდა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, სადაც მითითებულია, რომ ცენტრის მითითებით მოხდა რჩევების გადატანა რეკომენდაციებში, და იმ დანართს, სადაც საერთაშორისო ექსპერტმა გააკეთა თავისი განმარტებები არგუმენტირებული პოზიციის აღნიშვნა, რომ ცენტრი როგორც წესი აკეთებდა კომენტარებს ფორმალურ შესაბამისობასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ტექნიკური ხარვეზიც გარკვეულწილად შეუსაბამოა, რაც შეიძლება ნახევარ საათში გამოასწოროს დაწესებულებამ, მან გააკეთა მითითება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ გადახედავდნენ აღნიშნულ საკითხს ახლიდან. მოცემული შემთხვევაში რჩევა ითვალისწინებდა იმას, რომ პროგრამაში და სილაბუსში არ ემთხვეოდა კურსის სტატუსი ერთმანეთს, რამდენადაც ეს არის დოკუმენტი, რომელიც ზიარდება დაინტერესებულ მხარეებთან, დაწერილი იქნა კომენტარი, რომ გადაეხედათ გაცემული რჩევისთვის. აქედან გამომდინარე, რჩევა გადავიდა რეკომენდაციებში, რადგან ეს იყო ტექნიკური საკითხი და უნდა გასწორებულიყო და უნდა იყოს რეკომენდაციებში. მოცემული საკითხის გამოსწორება დაწესებულებისთვის არ წარმოადგენს დაწესებულებისათვის სირთულეს.

დიმიტრი გეგენავამ, აღნიშნა რომ ამ საკითხის შინაარსი გასაგები იყო დაწესებულებისათვის. მოცემული საკითხის გამოსწორება ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას, თუმცა რეკომენდაცია სტანდარტის შეფასებას ცვლის და აქედან გამომდინარე დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს რჩევა უნდა იყოს და არა რეკომენდაცია. რაც შეეხება კითხვას „ბიზნესის საფუძვლების“ კურსთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ იზიარებდა მის მოსაზრებას და არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა დაწესებულება ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას. რაც შეეხება დაშვების წინაპირობებს, ექსპერტებისთვისაც იმგვარად იყო ეს აღქმული როგორც საბჭოს წევრებმა აღიქვეს. რა თქმა უნდა, ეს დაწესებულებას მიაჩნია მიუღებლად, რადგან არსებული მიღების წინაპირობები სრულად აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ გაწერილ კრიტერიუმებს და საქართველოს კანონმდებლობასთან. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს 4.2. ქვესტანდარტთან დაკავშირებით. თავდაპირველ დასკვნაში მითითებული იყო, რომ აღნიშნული სტანდარტი სრულ შესაბამისობაში შეფასდა დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო შემდეგი ეს შეფასება შეიცვალა. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა დაადასტურა, რომ ნამდვილად ასე იყო. მან აღნიშნა, რომ ის გულდასმით გაეცნო დასკვნის „დრაფტს“. საბოლოო დასკვნის გაცნობა ხდება იმ შემთხვევაში თუ არის დაწესებულების მიერ გაკეთებული კომენტარები იმ საკითხზე, რაზედაც მან იმუშავა. ასევე დაადასტურა, რომ 4.2.

კომპონენტთან მიმართებით საერთაშორისო ექსპერტის მხრიდან არ ყოფილა ექსპერტებთან დამატებითი კომუნიკაცია და როგორც აღმოჩნდა ცენტრის მითითებით მან გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თავისი კითხვა და აღნიშნა, რომ როგორც დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა თავდაპირველი დასკვნის პროექტში კონკრეტული სტანდარტი იყო შეფასებული როგორც „მეტწილად შესაბამისობა“, ხოლო მეორე სტანდარტი, საიდანაც დგინდება, რომ თითქმის იგივე პერსონალი ემსახურება მეორე სამაგისტრო პროგრამასაც, შეფასდა „სრული შესაბამისობით“. მას აინტერესებდა, რა გახდა საფუძველი ექსპერტების მხრიდან 4.2. ქვესტანდარტის თავდაპირველად მეტწილად შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ამ საკითხის განხილვის დროს ჰქონდათ შესაბამისი არგუმენტები ამ ქვესტანდარტის „მეტწილად შესაბამისობის“. შეუსაბამობაზე მსჯელობა ჯგუფში არ ყოფილა.

ექსპერტმა გიორგი მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვის პროგრამაში პერსონალი ინგლისურ ენაზე არ იყო მომზადებული. შესაბამისად, შესაძლებელია საერთაშორისო ექსპერტს წვდომა არ ჰქონდა პერსონალის შესახებ ინფორმაციაზე და ამიტომ შეფასდა ასე. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა იწყება შემდეგი ფრაზით, რომ „საბოლოო ჯამში ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა რომ საგანმანათლებლო პროგრამები კარგად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს“ და შემდგომ ბოლოში 4.2 ქვესტანდარტის შეფასება ცალსახად წინააღმდეგობაშია და მიანიშნებს იმას, რომ საწყისი მიმართებით სხვაგვარი შეფასება იყო ამის.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პერსონალის შესახებ ინგლისურენოვანი ინფორმაცია ცენტრს გაუზიარა. პერსონალი იდენტურია და ორივე მიმართულებით მათი კომპეტენციები თანაბარმნიშვნელოვანია.

ექსპერტმა ნანა ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება არა ერთ კონკრეტულ საგანს, არამედ კურიკულუმის განახლებას, სტუდენტის მიერ ლიტერატურის ათვისების შესაძლებლობას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელის არგუმენტაცია არის ის, რომ ეს ინოვაციაა ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის, ხოლო ექსპერტები თვლიან, რომ ეს არის არა მხოლოდ ქართული საუნივერსიტეტო, არამედ მსოფლიო საუნივერსიტეტო სივრცის ინოვაცია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სტუდენტის სიღრმისეულ შეფასებას. ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ოთხი ძირითადი ლიტერატურა, რომელიც საკმაოდ მოცულობითია. მას მიაჩნია, რომ თეორიული მასალა და პრაქტიკული კომპონენტი უნდა იყოს არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული. ასეთი კომბინირებული საგნები ვერ უზრუნველყოფს დარგობრივ მახასიათებლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მთელი ეს რეკომენდაციები ეხება პროგრამის კონკურენტუნარიანობას და გათვლილია სიღრმისეული სისტემური ცოდნის დაუფლებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელმა, აკაკი ცომაიამ, აღნიშნა, რომ „თამაშთა თეორიის“ ნაწილის შემოტანა კარგია სტარტეგიულ მენეჯმენტში. ამას აღიარებს ექსპერტიც. ნიკოლსონის სახელმძღვანელოს დაწესებულება იყენებს იმიტომ, რომ მასში კარგად არის ახილი ის კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს სჭირდება კონკრეტული ქეისების ამოსახსნელად. რაც შეეხება კომპლექსურობას, მან აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს შეფასების სისტემა. ეს არის ინოვაციური კურსი, რომელიც დეტალური დაკვირვების ქვეშაა. შესაბამისად, კარგია, რომ ნდობა გამოეცხადოს უნივერსიტეტს ამ ნაწილში. დაწესებულება ამაზე იმუშავებს და კურსს მოიყვანს სტუდენტების საჭიროებების მიხედვით შესაბამისობაში. დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ სტუდენტის საუკეთესო ინტერესებისათვის იქნება ყველა რეკომენდაცია გაზიარებული კონკრეტულად, ამ საგანთან დაკავშირებით. ჩატარებული შეფასების მიხედვით საჭიროებისამებრ შესაბამის ცვლილებები იქნება განხორციელებული.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, განმარტა, რომ ცენტრის წარმომადგენელს არ აქვს უფლება ექსპერტს მიუთითოს

რა შეფასება დაწეროს და რა არ დაწეროს კონკრეტულ რეკომენდაციასა და რჩევაზე. ცენტრის თანამშრომელი კითხულობს მხოლოდ დასკვნის პროექტს იმ მიზნით, რომ დასკვნა იყოს გამართული და აღწერითი ნაწილი ერთმანეთთან აცდენაში არ მოდიოდეს. ცენტრის თანამშრომელმა შეიძლება ექსპერტს მიუთითოს იმაზე, რომ დასკვნაში მაგალითად, 1.1. კომპონენტში დაფიქსირებული გარემოება ეწინააღმდეგება 1.5. კომპონენტში აღწერილს, რომელიც მოითხოვს კიდევ ერთხელ გადახედვას. ამ შემთხვევაში ხდება მხოლოდ მითითება იმაზე, რომ ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და საჭიროა მისი გადახედვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად იდენტური შინაარსის უკუკავშირი იყო ცენტრის თანამშრომლის მხრიდან. ამრიგად, ამ უკანასკნელის მიერ არ მომხდარა მითითება რჩევების რეკომენდაციების ჩამონათვალში გადატანის შესახებ.

პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:21

დასრულების დრო: 20:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**პროგრამა 3: "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

**პროგრამა 4: "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**პროგრამა 5: "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

პროგრამა 6: "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 31 იანვრამდე.

საბჭოს სხდომა დასრულდა 20:48 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

დ. ციციშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

გ. ანდუკელიძე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

თ. ლომინაძე

